საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

NCDC 1 23 00384720 10/04/2023

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრს

ბატონ ზურაბ აზარაშვილს

ბატონო ზურაბ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ, განხილულ იქნა **სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი** „ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსი „ბობოყვათის“ მშენებლობის მიზნით მომზადებული განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია“.

დამგეგმავი ორგანოა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო განხორციელების არეალი- ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აბაშიძის ქუჩისა და ზღვის სანაპიროს მიმდებარედ არსებული ტერიტორია. საპროექტო არეალი დაშორებულია ქ. ბათუმიდან 30კმ-ით, მტირალას ეროვნული პარკიდან 28 კმ-ით, ხოლო კინტრიშის ეროვნული ნაკრძალიდან 38 კმ-ით. გეგმარებით არეალზე ამ დროისათვის არის არსებული ნანგრევები და გამწვანება, სარეკრეაციო ტერიტორია, რომელიც განეკუთვნება სხვადასხვა მესაკუთრეს.

„საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის №655 ბრძანებულების შესაბამისად, ბობოყვათის ტერიტორია განეკუთვნება პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური და ნევროლოგიური პროფილის მქონე საკურორტო ადგილს, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უნდა დადგინდეს სანიტარიული დაცვის ზონები და შემდეგ დაიგეგმოს განაშენიანება აღნიშნულ ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საცხოვრებელი, სპორტულ გამაჯანსაღებელი, გასართობი და რეკრეაციული ფუნქციების მქონე ბობოყვათის საკურორტო ადგილის სამომავლო განვითარებისათვის, მიზანშეწონილია ჯერ დადგინდეს სანიტარიული დაცვის ზონები და შესაბამისად კორექტირებული კონცეფცია იქნეს განსახილველად წარმოდგენილი.

გარდა ამისა, ვინაიდან, სამომავლო სამუშაოების განხორციელების პროცესები პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას მოახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, კონცეფციის პროექტში სასურველია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ფაქტორებიც:

- სოციალური დაცულობა (უსაფრთხო საფეხმავალო გადასასვლელი, დაბალი მოძრაობის სიჩქარე საცხოვრებელი ადგილების მიმდებარედ, ხმაურის შემცირება, ქუჩის განათება);

- დასასვენებლი, ტურისტული და საცხოვრებლის ხარისხი (გარემო, სამშენებელო მასალები, საცხოვრებლის განლაგება, შენობის ორიენტაცია მზის პირდაპირი სხივების შესაბამისად და ა.შ);

- სამუშაო ადგილების, განათლების და საყოფაცხოვრებო მომსახურების (აფთიაქი, მაღაზიები, ბაკნები და ა.შ.) ხელმისაწვდომობა;

- წყლის მოხმარება და ჩამდინარე წყლების შეგროვება;

- ნიადაგის ხარისხი (დაბინძურების გაწმენდა, მწვანე ტერიტორიების შენარჩუნება) და ნარჩენების სათანადო მართვა;

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება;

-ადგილზე მომსახურე პერსონალის, დამსვენებელთა და ტურისტების სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხი, მათ შორის ახალი უბნების სივრცითი მოწყობის დაგეგმარებისას დროული და ხარისხიანი სამედიცინო დახმარების შესაძლებლობა.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად